სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/182

ქ. თბილისი 28 ნოემბერი 2023 წ.

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის 4^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის სამსახურებრივი ბარათის, ფაკულტეტის 2023 წლის 03 ნოემბრის სათათბირო სხდომის №7 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნას ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი დარგობრივი კომისიის შემადგენლობა.
2. დარგობრივი კომისიის დამტკიცებისათვის დადგენილი პროცედურების დაცვით, უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ იქნას ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმის ამონაწერი, აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**